პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, მეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 297 (12505) | პარასკევი, 21 დეკემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ, 20 დეკემბერს თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ.

სესიამ მოისმინა მოხსენებები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

შემდეგ სესიაზე დაიწყო კამათი მოხსენებების გამო.

საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიის სხდომა 1962 წლის 20 დეკემბერს. ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი ო. დ. გოცირიძე.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

★ ★ ★

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

ჩვენი მძლავრი საბჭოთა სახელმწიფო ამთავრებს შვიდწლედის მეოთხე წელს, ნაღელი კომუნისტური მომავლის აშენებისათვის ბრძოლაში საბჭოთა ხალხის გრანდიოზულ წარმატებათა წელს. ცოტა ხნის წინათ ჩვენი პარტიის საბრძოლო შტაბმა — მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო შემოქმედებითი ლენინური სულისკვეთებით გამსჭვალული უმნიშვნელოვანესი გადწყვეტილებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის, ეროვნი პარტიული და სახელმწიფო კონტროლის მწყობრი და მთლიანი სისტემის შექმნის შესახებ. ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესმა ორგანომ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ახალ ფორმებს, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა, კანონის ძალა მიანიჭა.

საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად მოიწონეს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებანი, რომელმაც დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. ჩვენი სამშობლოს მშრომელები და მთელი პროგრესული კაცობრიობა მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა მთავრობის, რომელსაც ნ. ს. ხრუშჩოვი მეთაურობს, ბრძნულ საგარეო პოლიტიკას, კაცობრობა რომ იხსნა თერმოატომური ომის მოახლოებული საფრთხისაგან.

საქართველოს მშრომელები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად დიდი აღფრთოვანებით აჯამებენ შვიდწლედის მეოთხე წელს თავიანთი თავდადებული შრომის შედეგებს. მათ მიაღწიეს ახალ დიდმნიშვნელოვან მიჯნებს სოციალისტური ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მათი კულტურის ზრდის საქმეში. საქართველოს ქალაქებისა და სოფლების მშრომელები უპატაკებენ სამშობლოს სახელმწიფო გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას. ქარხნების, ფაბრიკების, მშენებლობათა ათასობით მოწინავე მუშა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელები უკვე იძლევიან პროდუქციას მომავალი წლების ანგარიშში.

მთავრობის სახლზე ფრიალებს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ალმი. აქ 20 დეკემბერს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეხუთე მოწვევის უმაღლესი საბჭოს VII სესიამ.

სესიის გახსნამდე დიდი ხნით ადრე სხდომათა დარბაზში შეიკრიბნენ ხალხის საუკეთესო შვილები, მისი არჩეულნი რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სახელგანთქმული ნოვატორები, შრომის გმირები, მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის გენერლები და ოფიცრები. ისინი აქ მოვიდნენ, რათა განიხილონ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხი, იმის საკითხი, თუ როგორი იქნება ჩვენი რესპუბლიკა მომავალ 1963 წელს — შვიდწლედის მეხუთე წელს.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქში მათ ჩამოტანეს შრომითი დღეების მხურვალე სუნთქვა, მილიონობით საბჭოთა ადამიანის აზრები და გრძნობები, ადამიანებისა, რომლებიც კომუნიზმს აშენებენ. რესპუბლიკის მშრომელთა მთელ მრავალფეროვან ცხოვრებაზე მძლავრ გავლენას ახდენენ სკკპ XXII ყრილობის, პარტიის ახალი პროგრამის იდეები. მათი ენერგია და ნება ხმარდება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ამოცანათა განხორციელებას.

სხდომის დაწყებამდე კულუარებში არ წყდება სერიოზული დიდი საუბარი. ხან აქ, ხან იქ იმართება გაცხოველებული საუბრები. ამ საუბრებში გამოხატულია დეპუტატთა ფიქრები იმაზე, თუ როგორ გამოიყენონ უკეთ სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობანი, პარტიის ზრუნვა იმისათვის, რომ მთელი ძალები დარაზმონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, რომელმაც ახალი პერსპექტივები დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში.

სტუდიებში გამოთქმულია ზრუნვა მშვიდობის დაცვისა და განმტკიცებისათვის, სიამაყე ჩვენი ლენინური საგარეო პოლიტიკის წარმატებათა გამო. გამოხატავენ რა რესპუბლიკის მშრომელთა ნებასა და აზრს, ხალხის რჩეულნი მხურვალედ მიესალმებიან და იწონებენ ჩვენი პარტიის ეკონომიურ პოლიტიკას, ლაპარაკობენ მასების მზარდ შრომით და პოლიტიკურ აღმავლობაზე, იმაზე, რომ ისინი მზად არიან შვიდწლედის მეხუთე წელს ახალი წარმატებანი მოიპოვონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში.

დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია მუშაობას იწყებს.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დეპუტატი ვ. დ. კუპრაძე, მისი მოადგილეები — დეპუტატები მ. ხ. ბაკრაძე, ხ. ს. ბლაუბა, ვ. მ. სირაძე.

მთავრობის ლოუებში არიან ამხანაგები: ბ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზემლიანსკი, მ. ი. კუშვაა, ვ. პ. მჟავანაძე, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, ბ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუკვაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, მ. მ. ლელაშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუნიძე, ო. ე. ჩერქეზია.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. დ. კუპრაძემ.

ერთხმად დაამტკიცეს შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა (საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს).

2. საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება (საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს).

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება (საკითხი შემოაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს).

დაამტკიცეს სესიის მუშაობის რეგლამენტი და წესი.

შემდეგ სესიამ დაიწყო დღის წესრიგის საკითხთა განხილვა.

სიტყვა მოხსენებისათვის „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა“ მიეცა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარეს დეპუტატ ო. დ. გოცირიძეს.

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება — „საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება“.

შემდეგ საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა, საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ი. მელქაძემ. კომისიის სახელით მან შეიტანა წინადადება მოიწონონ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმა, რომელიც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ წარმოადგინა, დამტკიცონ საბიუჯეტო კომისიის შესწორებათა გათვალისწინებით საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, აგრეთვე საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

უმაღლესმა საბჭომ დაიწყო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის განხილვა.

მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ა. ე. მელაძემ, დეპუტატმა დ. ვ. გოგოხიამ (გალის საარჩევნო ოლქი, აფხაზეთის სსრ). დეპუტატმა ა. ვ. ძაბაშვილმა (ქალაქი რუსთავი, მეტალურგთა საარჩევნო ოლქი).

ამით 20 დეკემბრის დილის სხდომა დამთავრდა.

საღამოს სხდომაზე გაგრძელდა კამათი მოხსენებათა გამო საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმისა და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

სიტყვები წარმოთქვეს დეპუტატებმა ვ. ა. კაკაბაძემ (ვალისციხის საარჩევნო ოლქი, გურჯაანის რაიონი), მ. ე. თოფურიძემ (თამაკონის საარჩევნო ოლქი, გეგეჭკორის რაიონი), აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ლ. მ. დავითაძემ, ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ფ. ცაცვიტინიძემ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა თ. პ. ბუჩარიძემ, დეპუტატებმა ბ. ხ. მელქაძემ, (ზესტაფონის — ლენინის საარჩევნო ოლქი), ე. შ. ჯიბუტმა (ჩოხატაურის საარჩევნო ოლქი), ნ. ე. ჭახრაკიძემ (დიღმის საარჩევნო ოლქი).

დეპუტატებმა აღნიშნეს, რომ ჩვენს გეგმებში განსახიერებულია სოციალისტური ეკონომიკის უპირატესობათა სრული გამოყენების, სახალხო მეურნეობის დაჩქარებული განვითარების პარტიის ლენინური კურსი, რასაც ემსახურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებში დასახული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა. ზრუნვა ხალხის ინტერესებისათვის, მისი კეთილდღეობისა და აყვავებისათვის მთავარია 1963 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში.

დეპუტატთა სიტყვებმა ცხადყვეს, რომ საქართველოს მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია თავდადებით შრომობენ სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებისა და პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის. ჩვენი ზრდის შესანიშნავი პერსპექტივები აღფრთოვანებენ მათ ახალი წარმატებებისათვის შვიდწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

ორატორებმა მოიწონეს სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმა და სახელმწიფო ბიუჯეტი. მათ ილაპარაკეს დიდ გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლებიც არის მრეწველობაში, მშენებლობასა და სოფლის მეურნეობაში, შეიტანეს კონკრეტული წინადადებანი მუშაობის გაუმჯობესებისათვის, გააკრიტიკეს ნაკლოვანებანი. ორატორებმა ახალი, უფრო დიდი მოთხოვნები წაუყენეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობას.

21 დეკემბერს სესია განაგრძობს მუშაობას. (საქ-დესი).

სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მიესალმებიან და ულოცავენ სახელმწიფო უშიშროების თანამშრომლებს ჩეკისტთა ორგანოების 45 წლისთავს, რომლებიც ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნა ჩვენმა პარტიამ დიდი ოქტომბრის მონაპოვართა დასაცავად.

სკკპ XX და XXII ყრილობების გადაწყვეტილებათა საფუძველზე სახელმწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობაში აღმოფხვრილია პიროვნების კულტის შედეგები, აღდგენილია მუშაობის ლენინური პრინციპები, აღორძინებულია სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის სახელოვანი ტრადიციები.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები განმტკიცებულია კარგად მომზადებული, პარტიისა და ხალხისადმი უსაზღვროდ ერთგული კადრებით. სახელმწიფო უშიშროების ორგანოების თანამშრომლები კომუნისტური პარტიის ერთგული თანამემწეები და ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიდი საქმის სიმტკიცე დამცველები არიან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებს წარმატებებს უსურვებენ მათს კეთილშობილურ და დიდმნიშვნელოვან საქმეში და გამოთქვამენ რწმენას, რომ ისინი კვლავაც, მშრომელთა ნდობასა და მხარდაჭერაზე დაყრდნობით, გამოიჩენენ შეუნელებელ პოლიტიკურ სიფხიზლეს ჩვენი მტრების ხრიკებისადმი, მკაცრად დაიცავენ სოციალისტურ კანონიერებას, საიმედოდ დაიცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის შემოქმედებით შრომას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა ი. ბ. ტიტოს

კიევი, 20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი შეხვდა იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ფედერალურ მდივანს, იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს იოსიპ ბროზ ტიტოს.

შეხვედრის დროს გაიმართა საუბარი, რომელმაც გულითად, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

იოსიპ ბროზ ტიტო ესაუბრა უპარტიო კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს

კიევი, 19 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). მალე აქ ჩამოსვლის შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი იოსიპ ბროზ ტიტო და იუგოსლავიის სახელმწიფო მოღვაწენი შეხვდნენ უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნ. ვ. პოდგორნიმ მომძე იუგოსლავი ხალხის წარმომადგენლებს გააცნო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წარმატებანი საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

საუბარს დაესწრნენ პირნი, რომლებიც ახლავან პრეზიდენტს მოგზაურობის დროს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, სსრ კავშირის ელჩი იუგოსლავიაში ა. მ. პუზანოვი.

საუბარმა ჩაიარა გულთბილ, ძმურ ვითარებაში.

საბჭოთა კავშირ-კუბის სავაჭრო მოლაპარაკება

18 დეკემბერს დამთავრდა პირველი ეტაპი კუბის რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაციისა და საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციის მოლაპარაკებისა კუბასა და სსრ კავშირს შორის 1963 წლის საგარეო ვაჭრობის საკითხებზე.

კუბის მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირში იმყოფება 10 დეკემბრიდან. დელეგაციას მეთაურობს გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი და აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტი ამხანაგი კარლოს რაფაელ როდრიგესი.

საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხანაგი ა. ი. მიკოიანი.

მოლაპარაკების დროს მიღწეულია სრული თანხმობა კუბასა და სსრ კავშირს შორის 1963 წლის საგარეო ვაჭრობის ძირითად საკითხებზე, ამ ვაჭრობის დონეზე, კრედიტის საკითხზე. კუბაში და კუბიდან საქონლის ტრანსპორტირებისა და სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებზე.

ორივე მხარე შეთანხმდა სავაჭრო ურთიერთობის გაფართოების შესახებ 1963 წელს, რაც, როგორც ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, გამოხატავს საბჭოთა კავშირსა და კუბას შორის დამყარებულ „გულწრფელი მეგობრობის ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს თანასწორუფლებიანობა, სუვერენიტეტის პატივისცემა და ეკონომიური თანამშრომლობა“.

ამ გაფართოებამ საშუალება მისცა კუბას დაეძლია ეკონომიური ბლოკადა, რომელიც მას თავს მოახვია ჩრდილოეთ ამერიკის იმპერიალიზმმა, რათა ჩაეხშო კუბის სოციალისტური რევოლუცია.

ძირითად საკითხთა გადაჭრის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ მოლაპარაკება განაგრძონ შესაბამისი საგარეო ვაჭრობის მინისტრების ხელმძღვანელობით, რათა განიხილონ და გადაწყვიტონ ვაჭრობასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები.

ხალხის ინტერესების სადარაჯოზე

სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 45 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრებები

მოსკოვი, 20 დეკემბერი. (საკდესის კორ.). საბჭოთა ხალხი ფართოდ აღნიშნავს სახელოვან თარიღს ჩვენი სამშობლოს ისტორიაში.

დღეს მოსკოვში გაიმართა ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება.

პრეზიდიუმში შემოვიდნენ ამხანაგები **მ. ა. სუსლოვი, ვ. ნ. ტიტოვი,** სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი საბჭოთა კავშირის მარშალი **რ. ი. მალინოვსკი,** საბჭოთა კავშირის მარშალი **ა. ა. გრეჩკო,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე **ვ. ე. სემიჩასტნი,** სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე **ა. თ. გორკინი,** სსრ კავშირის გენერალური პროკურორი **რ. ა. რუდენკო,** სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი **ს. პ. პავლოვი,** კომსომოლის მფრინავი **ი. ა. გაგარინი** და სხვები, რომლებსაც მჭუხარე ტაშით შეხვდნენ.

უდიდესი აღფაღლობით აირჩიეს კრების საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **ვ. ნ. ტიტოვმა** წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაკებისადმი. დარბაზში გაისმა მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში.

მოხსენება სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 45 წლისთავის შესახებ გააკეთა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ვ. ე. სემიჩასტნიმ.**

თბილისი: 20 დეკემბერს სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოებმა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღნიშნეს ღირსშესანიშნავი თარიღი — დაარსების 45 წლისთავი.

გუშინ ძერჟინსკის სახელობის კლუბში გაიმართა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მუშაკთა საზეიმო კრება ქალაქ თბილისის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად.

კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები: **გ. ა. გეგეშიძე, დ. ს. ზემლიანსკი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ტ. სტუჩენკო, გ. დ. ჯავახიშვილი, რ. ი. ფრუნიძე.**

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარემ გენერალ-ლეიტენანტმა **ა. ნ. ინაურმა.**

მოხსენება — სახელმწიფო უშიშროების ორგანოების 45 წლისთავი გააკეთა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ **პოლკოვნიკმა ბ. გ. კაციტაძემ.**

საზეიმო კრების მონაწილეთათვის გაიმართა დიდი კონცერტი

(საკდესი).

ეროვნული ცნობები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომები

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღღეანდელი სესია შეიკრება მაშინ, როცა ჩვენი პარტია, ყველა საბჭოთა ხალხი იბრძვის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების განსახორციელებლად, გადაწყვეტილებებისა, რომლებიც უზრუნველყოფენ XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამის წარმატებით განხორციელებას.

რამდენიმე ღღეც, და მიილევა შვიდწლეულის მეოთხე წელი. ეს ოთხი წელი იყო ჩვენი ქვეყნის ხალხთა, საბჭოთა საქართველოს შრომელთა მასობრივი შრომითი გმირობისა და შემოქმედებითი ინიციატივის წლები კომუნისტური მშენებლობის გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში. 1962 წელი — პირველი წელი ჩვენი პარტიის XXII ყრილობის შემდეგ, გამოირჩეოდა განსაკუთრებული მიზნდასახულობით და ღღეს შეიძლება ითქვას, რომ ამ წელმა ბევრი შრომითი გამარჯვება მოგვიტანა. ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით 1962 წლის გეგმა გადაჭარბებით სრულდება, რაც წარმატებით წინსვლის საჭირო წინაპირობას ქმნის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის და ამ ღღეებში გამართული საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის, მმართველობის დემოკრატიული პრინციპების განვითარების და მთელი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისაკენ, საიმედო საწინდარი იქნება ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის, კულტურისა და მეცნიერების განვითარებისათვის.

სახალხო მეურნეობის 1962 წლის გეგმის შესრულების წინასწარი შედეგები

ამხანაგო დეპუტატებო!

1962 წლის მანძილზე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა წარმატებით ვითარდებოდა. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებმა საერთო პროდუქციის გამოშვების თერთმეტი თვის გეგმა 103,6 პროცენტით შეასრულეს. შარშანდელთან შედარებით ზრდის ტემპი 9,8 პროცენტია, ნაცვლად შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრების გაანგარიშებებში გათვალისწინებული 7,2 პროცენტისა და ნაცვლად 7,4 პროცენტისა, რომელიც დადგენილია ამ წლის გეგმით. შვიდწლეულის ოთხი წლის მანძილზე სამრეწველო წარმოების მოცულობა იზრდება 33,3 პროცენტით, ნაცვლად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 32,3 პროცენტისა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების 11 თვის გეგმა 103,5 პროცენტით შეასრულა, ხოლო ზრდის ტემპი 10,4 პროცენტია. მთლიანად და გადაჭარბებით იქნება შესრულებული თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, მაგისტრალური ელექტრომავლების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, კოშკურა ამწეების, ქიმიური, ცემენტის, შაქრის ფხვნილის, საკონდიტრო ნაწარმის, ხორცის, დაფასოებული ნატურალური ჩაის, უურძნის ღვინის და სხვათა წარმოების გეგმები.

წარმატებით ასრულებენ გეგმას ადგილობრივი საბჭოების და საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოები.

მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა ახალი ტექნიკის ასათვისებლად და მოწინავე ტექნოლოგიის დასანერგავად. შეიქმნა 60-ზე მეტი ახალი ტიპის საცდელი მანქანა, მოწყობილობა, ხელსაწყო და მასალა, დაინერგა 40-ზე მეტი ავტომატური, ნახევრადავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, ათვისებულია 40-მდე დასახელების ახალი სახეობის სამრეწველო პროდუქციის სერიული წარმოება.

გაუმჯობესდა საწარმოთა მუშაობის ეკონომიური მაჩვენებლები. მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ფაქტიური დანახარჯი გამოშვებული სასაქონლო პროდუქციის ერთ მანეთზე გეგმით გათვალისწინებულზე მცირეა. ამით სახალხო მეურნეობის საბჭომ ნოგიერთმა სხვა საწარმომ ზეგეგმით ეკონომიას მიაღწია.

საექსპლოატაციოდ გადაეცა ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მაღაროები, დამყვანი ფაბრიკა ჭიათურაში; უახლოეს დღეებში ამუშავდება რუსთავის მეტალურგიული ქარხნის თბოელექტროცენტრალში 50 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორი და 110 ათასი კილოვატი სიმძლავრის ხრამესენი II, რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპროლაქტამის საწარმოში მიმდინარეობს გაფართოების-გასამართავი სამუშაოები, მთავრდება სუსტი აზოტმჟავას საამქროს მშენებლობა. მსუბუქი და კვების მრეწველობის მთელ რიგ საწარმოებში ამოქმედდა ახალი სიმძლავრეები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ა. წ. თერთმეტი თვის გეგმები ვერ შესრულეს სახალხო მეურნეობის საბჭომ 73 საწარმომ ანუ საწარმოთა საერთო რიცხვის 13,9 პროცენტმა და დაგვაკლეს 23,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

ბევრ საწარმოში დარღვეულია მუშაობის რიტმი, დიდი ფუჭი ხარჯები, დანაკარგები ზენის გამო და, სამწუხაროდ, არის უხარისხო პროდუქციის გამოშვების ფაქტებიც — განსაკუთრებით ფიზიკა-ქიმიის ფაბრიკებში. ცალკეულ საწარმოებში კვლავ გრძელდება მოძველებული მოწყობილობის გამოშვება, ნელა ინერგება ახალი ნაწარმი, განსაკუთრებით სახალხო მოხმარების საქონლისა. ძალზე დიდია დაზგების პარკის მოცდენა. ზოგიერთი სახეობის ნაწარმის დამზადებისათვის საჭირო ნედლეულისა და მასალის ნორმები მოძველებულია.

უნდა აღვნიშნოთ ჩაისა და მეღვინეობის მრეწველობის საწარმოთა კარგი, მაღალორგანიზებული მუშაობა. ჩაის ფაბრიკების კოლექტივებმა შეუფერებლად შეძლეს მიღებული ჩაის ნედლეულის მაღალხარისხოვნად გადამუშავება, ხოლო ღვინის საწარმოთა მუშაკებმა უურძნის დიდი რაოდენობის გადამუშავება. წარმატებას ხელი შეუწყო იმან, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ამ დარგების საწარმოებში ძალიან ბევრი რამ გაკეთდა ტექნოლოგიური პროცესების გასაუმჯობესებლად, აგრეგატების რეკონსტრუქციისათვის და ახალი ტექნიკის დასანერგავად. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად აამაღლა მათი წარმადობა. ამ მიმართულებით ყველა რეზერვი ამოწურული არ არის და საჭიროა კვლავაც გაგრძელდეს მუშაობა.

მიუხედავად წლევანდელი განსაკუთრებით ცუდი მეტეოროლოგიური პირობებისა, უფრო მეტად აღმოსავლეთ საქართველოში, სადაც მესამე წელია გრძელდება არნახული გვალვა, სოფლის მეურნეობის მშრომელებმა წარმატებით გაართვეს თავი მათზე დაკისრებულ ამოცანებს სოფლის მეურნეობის ისეთ წამყვან დარგებში, როგორიც არის ჩაის, უურძნის და ციტრუსების წარმოება.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მოწინავე აგროტექნიკის დანერგვით და ჩაის პლანტაციების უკეთ მოვლის საშუალებით მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 170,4 ათასი ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი და მიაღწიეს იმ ზღვარს, რომელიც შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებთან გათვალისწინებული იყო 1965 წლისათვის. საქართველოს მევენახეობამა სახელმწიფოს ჩაბარეს 204 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი, რაც მაქსიმალურია ყველა წინა წელთან შედარებით. შესრულდა მატყლის შესყიდვის გეგმა, ყველა პირობა არსებობს, რომ შესრულდეს სახელმწიფოსათვის ხილის და ციტრუსების მოყიდვის გეგმა.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მსხვილფეხა საქონლის სულადობის გეგმა შესრულებულია 99 პროცენტით, ამასთან გეგმის მნიშვნელოვანი შეუსრულებლობა გვაქვს ძროხისა და ფურკამეჩის სულადობაში. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩამორჩებიან ხორცის წარმოებისა და ღორების გასუქების გეგმების შესრულებაში. ცუდმა ამინდმა დიდი სიძნელეები შექმნა პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფის საქმეში. თუმცა განხორციელდა სერიოზული ღონისძიებები უხეში საკვების დასაშზადებლად რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ზამთრის საკვები ბალანსი მაინც უკიდურესად დაძაბული რჩება. შექმნილი მდგომარეობა სოფლის მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებისაგან მოითხოვს ენერგიული ზომების მიღებას იმისათვის, რომ არსებული საკვების ხარჯვა ხდებოდეს სწორად და მაქსიმალური ეკონომიის გაწევით.

კაპიტალდაბანდებათა თერთმეტი თვის მთელი გეგმა შესრულდა 87,8 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა 96,1 პროცენტით. შარშანდელი დონის ფაქტიური გადაჭარბება კაპიტალდაბანდებათა საერთო მოცულობაში უდრის 10,7 პროცენტს, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებს — 6,9 პროცენტს. სახელმწიფო საგეგმო კომისიის გაანგარიშებით კაპიტალურ დაბანდებათა წლიური გეგმა შესრულებული იქნება 97-98 პროცენტის ფარგლებში.

კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულებაში მნიშვნელოვნად ჩამორჩენილ სახალხო მეურნეობის საბჭო, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო.

1962 წელი აღინიშნა ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი აღმავლობით. მნიშვნელოვანი განვითარება ჰპოვა სახინაო-კომუნალურმა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სკოლების მშენებლობამ. თერთმეტ თვეში სახელმწიფო და კოოპერაციული გაჯრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის გეგმა შესრულდა 100,8 პროცენტით, შესაბამის ფასებში, საცალო საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა შარშანდელთან შედარებით 89 მილიონი მანეთით გაიზარდა. მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა ქსელის განსავითარებლად. ჩვენმა სასწავლებლებმა გამოუშვეს 7580 უმაღლესი და 5950 საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი, სახალხო მეურნეობაში ერთი წლის მანძილზე დასაქმებულ იქნა 45 ათასამდე კაცი. ახალ შემოქმედებითს წარმატებებს მიაღწიეს კულტურის ფრონტის მუშაკებმა. მათზე დაკისრებულ ამოცანებს წარმატებით წყვეტენ ჩვენი რესპუბლიკის კონსტრუქტორები და მეცნიერების დარგის მუშაკები.

სოფლის მეურნეობის განვითარება

სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნისა და საწარმოო ტერიტორიული სამმართველოების შექმნის ბაზაზე გეგმის პროექტი სოფლის მეურნეობისა განვითარებაში ითვალისწინებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

1963 წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დასაშუშაებელი მიწის ფართობი გაიზრდება 50 ათასი ჰექტარით და 850 ათას ჰექტარს მიაღწევს. აქედან მარცვლეული კულტურები დაიკავებს 547 ათას ჰექტარს. პირუტყვის საკვების დამზადების მიზნით გადიდდება სიმინდის, ბარდის, საკვები პარკოსნებისა და შაქრის ჭარხლის ნათესები.

გეგმის პროექტის გაანგარიშებით გათვალისწინებულია მეცხოველეობის სულადობის გადიდება და პროდუქტიულობის ამაღლება. 1963 წლის დასასრულისათვის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფოთა მეურნეობებში განზრახულია მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა გაიზარდოს 703 ათას სულამდე, აქედან ძროხისა და ფურკამეჩისა — 202 ათას სულამდე. ღორის სულადობა იქნება 255 ათასი, ცხვრისა და თხისა — 1.568 ათასი, ხოლო მოზარდეული ფრინველისა — 1,5 მილიონი ფრთა.

განზრახულია შესრულდეს მნიშვნელოვანი სამუშაოები საქონლის ჯიშიანობის გასაუმჯობესებლად, დედა საქონლის ხელოვნური დათესვლის შემდგომი გაფართოება, ვეტერინარული მომსახურების გაუმჯობესება.

სახალხო მეურნეობის გეგმის პროექტი ითვალისწინებს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მითითებებს იმის შესახებ, რომ შეიდწლეულის დარჩენილი წლების მანძილზე უნდა დაიფაროს მრავალწლიანი მცენარეების გაშენების შეუსრულებელი გეგმა და დაჩქარდეს მევენახეობისა და მეხილეობის განვითარება ჩვენს რესპუბლიკაში. 1963 წელს დასახულია კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 30.770 ჰექტარით გაიზარდოს მრავალწლიანი ნარგავების ფართობი, აქედან ვაზისა — 16.320 ჰექტარით, ხეხილის ბაღებისა — 10.320 ჰექტარით, ჩაის პლანტაციებისა — 3.000 ჰექტარით, ციტრუსოვანთა ნარგავებისა — 680 ჰექტარით და დაფნისა — 450 ჰექტარით. აგრეთვე გათვალისწინებულია შეივსოს მრავალწლიან მცენარეთა ის პლანტაციები, სადაც სიმეჩხრეს აქვს ადგილი.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მოცულობის მიხედვით გეგმა ითვალისწინებს შემდეგი რაოდენობით იქნას შესყიდული ძირითადი სახეობის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: მარცვალი — 200 ათასი ტონა, ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 163 ათასი ტონა, ციტრუსები — 40,5 ათასი ტონა, უურძენი — 190 ათასი ტონა, ხეხილი — 115 ათასი ტონა, თამბაქო — 17 ათასი ტონა, ბოსტნეული — 65 ათასი ტონა, ეთერზეთოვანი კულტურები — 17 ათასი ტონა, დაფნის ფოთოლი — 1.600 ტონა, ტუნგოს ნაყოფი — 15 ათასი ტონა.

განსაზღვრულია შესყიდულ იქნას 60 ათასი ტონა ცოცხალი წონის პირუტყვი და ფრინველი, 164 ათასი ტონა რძე, 80 მილიონი ცალი კვერცხი, 4.900 ტონა მატყლი და 4.300 ტონა აბრეშუმის პარკი.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის დასახული მოცულობანი საკმაოდ რეალურია. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს ყველა საშუალება აქვთ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულონ ისინი.

ამასთან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვის დასახულ მოცულობათა შედარება მათ საერთო წარმოებასთან სრულ საფუძველს გვაძლევს ფართოდ გავშალოთ სამომხმარებლო კოოპერაციის გამსაღებელი სექციების მუშაობა იმ მიზნით, რომ სოფლის მოსახლეობისაგან შევისყიდოთ ჯარში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. სამწუხაროდ, ასეთი შესყიდვების საქმე დღემდე ცუდად არის ორგანიზებული.

განსაკუთრებით უნდა ვიზრუნოთ ისეთი ძვირფასი კულტურების წარმოებაზე და სახელმწიფოსათვის ჩაბარებაზე, როგორიც არის თამბაქო და ეთერზეთოვანი ნედლეული.

1962 წელს ჩვენ სახელმწიფოს ვერ მივცემთ თამბაქოს ნედლეულს მნიშვნელოვან რაოდენობას. განსაკუთრებით დიდ შეუსრულებლობას ადგილი აქვს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში. ახლა, როდესაც მეთამბაქეობის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკვე შეუდგნენ სანერგე მეურნეობის გამართვას, ყველა ღონისძიება უნდა განხორციელდეს 1963 წლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად.

უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე არ სრულდება ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოებისა და შესყიდვის გეგმა. ამასთან ჩვენი ქვეყანა იძულებულია ეთერზეთების გარეშეგან დაფაროს მათი იმპორტის საშუალებით. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1963 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესახებ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ამ კულტურების წარმოების შემდგომი გაფართოების აუცილებლობას. ჩვენ სრული საშუალება გვაქვს არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულოთ ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის წარმოების გეგმა, მით უფრო, რომ მათი წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის რენტაბელურია.

სახალხო მეურნეობის გეგმა ითვალისწინებს სარწყავი მიწების შემდგომ გადიდებას, საძოვრების გაწყლოვანებას, აგრეთვე ამოშრობილი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემას. შემოდგომიდან დაიწყება სიონის წყალსაცავის ავსება. სარწყავი, გაწყლოვანებული და ამოშრობილი მიწების საერთო ნამატი შეადგენს 29 ათას ჰექტარს, მაგრამ ამ მიწების საკუთარ ძალებით ნაწილი ჯერ კიდევ ცუდად არის გამოყენებული. სოფლის მეურნეობის ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიულ-საწარმოო სამმართველოების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა ამოცანაა დროულად დასახონ საექსპლოატაციოდ გადაცემული ამოშრობილი ფართობების უკეთ გამოყენების ღონისძიებები და განავითარონ მათზე ინტენსიური მაღალმოსავლიანი კულტურები.

გაიაზად მნიშვნელოვნად შეიცვლება ტრაქტორების, მანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო იარაღების პარკი. რესპუბლიკა მიიღებს 1900 ტრაქტორს (ფიზიკურს), 377 კომბაინს, სპეციალური მექანიზმების დიდ რაოდენობას, მიწის სათხრელ ტექნიკას და მოწყობილობას.

გამოყოფილი იქნება 300 ათასი ტონა მინერალური სასუქები, 7 ათასი ტონა შაბიამანი, სხვადასხვა შხამქიმიკატები და ჰერბიციდები, 4.300 ტონა მავთული ელექტროენერგიისა და საბჭოთა მეურნეობების ვაზის შპალერზე გადასაყვანად და სხვ. სასოფლო მშენებლობისათვის მნიშვნელოვანი რაოდენობით არის გამოყოფილი სხვადასხვა საშენი მასალა, როგორც „საქსოფლტექნიკის“, ისე „ცენტრალურის“ ხაზით.

აქ მოყვანილი მონაცემები ნათლად მეტყველებენ იმაზე, თუ რა დიდ დახმარებას იღებს რესპუბლიკა სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომ გასაფართოებლად. ამოცანა სწორედ ის არის, რომ ყველა ეს სახსრები — მასალები, მექანიზმები, მანქანები, მოწყობილობა მთლიანად და მაქსიმალური ეფექტურობით იქნას გამოყენებული ჩვენს სოფლის მეურნეობაში ისე, რომ მომავალ — 1963 წელს უზრუნველყოს შესაბამისი საზღაურის მოცემა.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განვითარება

შემდგომ განვითარებას პოვებს რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტი.

საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტის ხვედრითი წონა საავტომობილო გადაზიდვებში შეადგენს 70 პროცენტს. შესამჩნევად გაიზრდება ტვირთის ცენტრალიზებული გადაზიდვები. გაფართოვდება საქალაქთაშორისო გადაზიდვები. მომხმარებლამდე ტვირთის მატანის გაიაფების მიზნით გათვალისწინებულია მოკლე მანძილზე გადასაზიდი ტვირთი რკინიგზის ტრანსპორტის ნაცვლად გადაიზიდოს საავტომობილო ტრანსპორტით. გათვალისწინებულია საავტომობილო მეურნეობათა შემდგომი გამსხვილება.

ავტოპარკების ავტომობილის საბურავებით მომარაგების გაუმჯობესების მიზნით განზრახულია 1963 წელს ქ. თბილისში აშენდეს საბურავშემკეთებელი ქარხანა, რომელიც შეაკეთებს 80 ათას ავტოსაბურავს. ასევე ქ. გუდაუთში აშენდება საბურავშემკეთებელი საამქრო, რომლის სიმძლავრე იქნება 30 ათასი საბურავის შეკეთება წელიწადში.

ინტენსიურად გაიზრდება მგზავრების გადაყვანა საერთო სარგებლობის ავტობუსებით. ისინი გადაყვანენ 318,4 მილიონ მგზავრს, ანუ 20,9 პროცენტით მეტს, ვიდრე 1962 წელს, მნიშვნელოვნად იმატებს მუუბუქი ავტომანქანების — ტაქსის რიცხვი. საფასურგადასახადი კილომეტრების მოცულობა გაუტოლდება 132,4 მილიონს, ანუ გაიზრდება 3,9 პროცენტით.

საავტომობილო გადაზიდვების განვითარებასთან ერთად სერიოზული ყურადღება ექცევა საავტომობილო გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. 1963 წელს საერთოსახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზების შენახვასა და შეკეთებაზე განსაზღვრულია დაიხარჯოს 20,461 მილიონი მანეთი. აქედან კაპიტალურ შეკეთებაზე — 13,29 მილიონი მანეთი. გაიაზად კაპიტალურად იქნება შეკეთებული 403,6 კილომეტრი საერთოსახელმწიფოებრივი და რესპუბლიკური მნიშვნელობის გზები, ნაცვლად წელს შეკეთებული 350,7 კილომეტრისა. გარდა ამისა, საავტომობილო გადაზიდვების შემოსავლიდან 2 პროცენტის გადარიცხვის ხარჯზე აშენდება და რეკონსტრუქცია გაუკეთდება 25,7 კილომეტრ საავტომობილო გზას. გათვალისწინებულია აშენდეს 113 კილომეტრი სიგრძის ადგილობრივი მნიშვნელობის გზა და შავი საფარი გაუკეთდეს 115 კილომეტრ გზას.

1963 წელს კავშირგაბმულობის პროდუქციის მოცულობა განისაზღვრება 27,5 მილიონი მანეთით, ანუ ზრდა უდრის 6,9 პროცენტს. საქალაქო სატელეფონო სადგურების სიმძლავრე გაიზრდება 8 ათასი ნომრით. საექსპლოატაციოდ გადაეცემა ზესტაფონის, წყალტუბოს, ქობულეთისა და სხვა სატელეფონო სადგურები, ფართოვდება ქ. თბილისში არსებული № 4 და № 5 სატელეფონო სადგურები. აშენდება კავშირგაბმულობის რაიკანტორები აბაშაში, ლანჩხუთში, წალენჯიხაში და სხვ. რესპუბლიკის რაიონების ადმინისტრაციები დაყოფის მომავალ ცვლილებებთან და მრეწველობის, მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გარდაქმნასთან დაკავშირებით მოგვიხდება მნიშვნელოვანი სამუშაოების ჩატარება კავშირგაბმულობის გასამართავად და მოსაწყობად. მკვეთრად გაიზრდება მგზავრების გადაყვანა და ტვირთის გადაზიდვა საავიაციო ტრანსპორტით, კიდევ უფრო მეტად იქნება გამოყენებული ავიაცია სოფლის მეურნეობაში.

კაპიტალური მშენებლობა

1963 წელს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა განსაზღვრულია 342,8 მილიონი მანეთის მოცულობით, ანუ ზრდა 1962 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით შეადგენს 11 პროცენტზე უფრო მეტს. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის ზრდა დაპროექტებულია 7,4 პროცენტის გათვალისწინებით. აღნიშნულ მოცულობაში არ შედის კაპიტალდაბანდებანი, მიმართულნი ინვენტარის ჰიდროელექტროსადგურის, თბილისის სახელმწიფო რაიონული ჰიდროელექტროსადგურის, აგრეთვე ორჯონიკიძე-თბილისის გაზსადენის მშენებლობაზე, რომლებიც გათვალისწინებულია საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე.

კაპიტალდაბანდებათა ის მოცულობანი, რომლებიც გამოყოფილი იქნება გაიაზად, შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით 1963 წლისათვის გათვალისწინებულ მოცულობას აღემატება 90,5 მილიონი მანეთით, ანუ 35,7 პროცენტით და მთლიანად უზრუნველყოფს გეგმის პროექტით დასახულ საწარმოო სიმძლავრეთა ზრდას და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა გატარებას.

ქიმიური მრეწველობის განვითარებაზე ასიგნებულ იქნება 23,6 მილიონი მანეთი. ეს სახსრები ძირითადად მიმართული იქნება რუსთავის აზოტოვანი სასუქების ქარხნის ობიექტების დასამთავრებლად და სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობაზე. რომელიც 1964 წელს უნდა ამუშავდეს.

კაპიტალური დაბანდებანი შავ მეტალურგიაში გაიზრდება 22,7 პროცენტით და ძირითადად მიმართული იქნება რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნების განვითარებისაკენ. ჭიათურის მარგანეცის ტრესტში კაპიტალდაბანდებანი მიმართულია მანგანუმის მოპოვების და მისი გამდიდრების ახალ სიმძლავრეთა ასამოქმედოდ. გაძლიერებით წარიმართება მადნეულის სპილენძის საბადოს ასათვისებელი სამუშაოები.

კვების მრეწველობის განვითარებისათვის კაპიტალდაბანდებათა ზრდა შეადგენს 8,2 პროცენტს. განსაზღვრულია აშენდეს ღვინის ახალი ქარხნები ოკამსა და ტიბაანში, მეღვინეობის მრეწველობის მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია, დამატებითი ტევადობის შექმნა ღვინის მასალების შესანახად. საკონსერვო მრეწველობაში გათვალისწინებულია 43 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის სიმძლავრეთა ამოქმედება, სოხუმის, გორის, სამტრედიის, აგარის და სხვა საკონსერვო ქარხნების საექსპლოატაციოდ გადაცემა.

კაპიტალური დაბანდებანი მსუბუქ მრეწველობაში იზრდება 21,1 პროცენტით. განზრახულია გაგრძელდეს გორის ბამბეულის კომბინატის მეორე რიგის მშენებლობა 10 ათასი თითისტარის და 128 საქსოვი დაზგის ამოქმედებით, თბილისის სართავ-საქსოვი და ქამოლის ფაბრიკების მშენებლობა 12 ათასი თითისტარის და 172 საქსოვი დაზგის ამოქმედებით, ცხაკაიას ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის მშენებლობა 1,7 ათასი თითისტარის და 25 საქსოვი დაზგის ამოქმედებით, ტრიკოტაჟის ფაბრიკის მშენებლობა ქ. თბილისში, რომელიც წელიწადში 3 მილიონ ცალ თეთრეულს მოგვცემს.

უკანასკნელი წლების მანძილზე კაპიტალურ დაბანდებანი 22,7 პროცენტით და ძირითადად მიმართული იქნება რუსთავის მეტალურგიული და ზესტაფონის ფეროშენადნობების ქარხნების განვითარებისაკენ. ჭიათურის მარგანეცის ტრესტში კაპიტალდაბანდებანი მიმართულია მანგანუმის მოპოვების და მისი გამდიდრების ახალ სიმძლავრეთა ასამოქმედოდ. გაძლიერებით წარიმართება მადნეულის სპილენძის საბადოს ასათვისებელი სამუშაოები. დასასრულ, ტექნიკის შეძენაზე და სხვა სახეობის სამუშაოებზე დაიხარჯება 77 მილიონი მანეთი ნაცვლად წელს გათვალისწინებული 62 მილიონი მანეთისა.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს საექსპლოატაციოდ გადაეცეს 6,3 ათასი ჰექტარი სარწყავი, 20 ათასი ჰექტარი გაწყლოვანებული და 3 ათასი ჰექტარი ამოშრობილი მიწები. აშენდება მეცხოველეობის ნაგებობანი 24,8 ათასი სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, 20 ათასი სული ღორისა და 30 ათასი სული ცხვრისა და თხისათვის. განსაზღვრულია საბჭოთა მეურნეობებში ვაზეხდეს 7 ათას ჰექტარამდე მრავალწლოვანი ნარგავი.

შემდგომ განვითარებას პოვებს სანინაო-კომუნალური მშენებლობა, აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სამეცნიერო და კულტურული ობიექტების მშენებლობა.

კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სანინაო მშენებლობაში გათვალისწინებულია 47,5 მილიონი მანეთის ოდენობით, ე. ი. გაიზრდება 11 პროცენტით. თბილისში, როგორც წინათ, სანინაო მშენებლობას მთლიანად ქალაქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი უხელმძღვანელებს. რამდენადმე გადიდდება სანინაო მშენებლობის კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით. ამასთან ნავარაუდევია, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო ამ სახსრებს პირველ რიგში ძმარმთავს ქალაქების რუსთავის, გორისა და ქუთაისის სანინაო მშენებლობაზე, რადგან 1963-64 წლებში ამ ქალაქებში ამოქმედდება დამატებითი საწარმოო სიმძლავრენი, რომლებსაც მნიშვნელოვანი რაოდენობით ესაჭიროებათ მუშახელი.

ჯანმრთელობის დაცვის ობიექტებზე კაპიტალდაბანდებანი შეადგენს 17,2 მილიონ მანეთს ნაცვლად წლევანდელი 15,6 მილიონი მანეთისა. განზრახულია ქ. ბათუმის წყალსადენის მშენებლობის დამთავრება, ქალაქების ფოთისა და ქუთაისის წყალსადენების მშენებლობის სამუშაოთა გაგრძელება. ქალაქ რუსთავში დაიწყება ახალი წყალსადენის მშენებლობა, განხორციელდება მთელი რიგი ღონისძიებები ქ. თბილისის მოსახლეობის წყლით მომარაგების გასაუმჯობესებლად.

ასიგნებანი ჯანმრთელობის დაცვის დარგში შეადგენს 10,8 მილიონ მანეთს და ისინი პირველ რიგში მოხმარდება საავადმყოფოებისა და პოლიკლინიკების მშენებლობას. მნიშვნელოვანი სახსრები გამოიყოფა საკურორტო მშენებლობის განსავითარებლად, მათ შორის რესპუბლიკის უდიდეს კურორტ ბიჭვინთის მშენებლობაზე. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, ადგილობრივ საბჭოებს და სამშენებლო ორგანიზაციებს უნდა ეუსაყვედუროთ ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების უკუდ მშენებლობის გამო. საავადმყოფოების მშენებლობა ძალიან გაჭიანურებულია, სახსრებს ვერ ითვისებენ, სამუშაოთა ხარისხი დაბალია.

გაისად აშენდება სასკოლო შენობები 15,3 ათასი მოსწავლისათვის, საბავშვო სკოლამდელი დაწესებულებები — 1940 ბავშვისათვის. ეს დაწესებულებები ძირითადად აშენდება ქუთაისში, რუსთავსა და გორში, სადაც საფეიქრო მრეწველობის ობიექტების დასახულ ამოქმედებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია წარმოებაში ქალთა შრომის ფართოდ გამოყენება.

სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმაში გათვალისწინებულია მომავალი წლების ზოგიერთი ფრიად მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის საპროექტო-საძიებო სამუშაოები. კერძოდ დაგეგმილია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის გაფართოება, დაიდგმება კონვერტორები და მოიწყობა ფოლადის ბრიდაპირი ჩამოსხმა, ამასთან შესაბამისად გაიზრდება თუჯის წარმოება და ნაგლინის დგამების სიმძლავრენი. აზოტოვანი სასუქების ქარხანაში დაპროექტებულია ამიაკის წარმოების გაფართოება და კარბამიდის წარმოების ორგანიზაცია. შემუშავებულ იქნება ქვანახშირის შახტის — შაორი-1 პროექტი. ტბილისის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტებასთან ერთად დასახულია ენგურის ჰიდროელექტროსადგურის დაპროექტება ქ. თბილისის ულელი უზრუნველყოფის გათვალისწინებით. დასახულია საფეიქრო-ბალანტერიის მსხვილი ფაბრიკის, სახიტარულ-ტექნიკური მოწყობილობის გამომშვები ქარხნის ჰაერის კონდიციონერების ჩითვლით დაპროექტება. დაგეგმილია ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის დაპროექტება, რომელსაც რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა

საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შემოაქვს უმაღლესი საბჭოს სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1963 წლის — შეიდწლედის მეხუთე წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი. ბიუჯეტი შედგენილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის შესაბამისად და ითვალისწინებს ამ გეგმით დასახული ღონისძიებების დაფინანსებას.

უკვე განვლო ერთმა წელმა სკკპ ისტორიული XXII ყრილობის შემდეგ, რომელზეც მიღებულ იქნა პარტიის ახალი პროგრამა.

სკკპ XXII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდი დამჯერებლად მოწმობს, რომ წარმატებით ხორციელდება პარტიისა და საბჭოთა ხალხის მთავარი ეკონომიური ამოცანა — ორი ათწლეულის განმავლობაში შეიქმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

ამ ამოცანის შესრულების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის მარტისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

წარმატებით ამთავრებენ მიმდინარე წელს საქართველოს სსრ მრავალდარგოვანი მრეწველობა და სოფლის მეურნეობა.

სოციალისტური ეკონომიკის მძლავრ აღმავლობას ქვეყნის მასშტაბით ნათლად ასახავს ეროვნული შემოსავლის ზრდა, რაც მიმდინარე შვიდწლედის გასული ოთხი წლის მანძილზე შეადგენს 32 პროცენტს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი 4 წლის მანძილზე გაიზარდა 205,4 მილიონი მანეთით, ანუ 35,5 პროცენტით.

საქართველოს სსრ 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წინასწარი მონაცემებით მოსალოდნელია შესრულდეს შემოსავალში 783.541 ათასი მანეთის ოდენობით, ანუ დაზუსტებული გეგმის მიმართ 100 პროცენტით. მიმდინარე წლის ბოლომდე სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა განაორციელონ დამატებითი ღონისძიებანი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე ყველა ვალდებულების აუცილებლად შესრულებისათვის.

1963 წლის ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები

სესიის განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტიო, როგორც შემოსავალი, ისე ხარჯები გათვალისწინებულია 802.209 ათასი მანეთის ოდენობით.

1963 წლის ბიუჯეტის მოცულობა 1962 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარებით გაზრდილია 52.315 ათასი მანეთით, ანუ 7,0 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს შეადგენს შემოსავალი სახელმწიფო საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან, რაც ბიუჯეტში შემოდის ბრუნვის გადასახადისა და მოგების ანარიცხის სახით. ეს შემოსავალი ყოველწლიურად იზრდება სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მეურნეობის რენტაბელობის ზრდასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გათვალისწინებულია ბრუნვის გადასახადი 407.412 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 16.353 ათასი მანეთით აღემატება 1962 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხას.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მოგების საერთო თანხა 1963 წელს გაიზრდება წინა წელთან შედარებით 34.274 ათასი მანეთით და 312.053 ათასი მანეთი, ანუ 12,3 პროცენტით მეტი იქნება.

მოგების ანარიცხის სახით კი მომავალი წლის ბიუჯეტში სახელმწიფო საწარმოებიდან და სამეურნეო ორგანიზაციებიდან ამოღებული იქნება 218.659 ათასი მანეთი, ანუ 31.395 ათასი მანეთით მეტი 1962 წლის ბიუჯეტით დამტკიცებულ თანხასთან შედარებით.

ამავარად, სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების მოგება ყოველწლიურად სულ უფრო მეტ როლს ასრულებს მეურნეობის ფულად დაგროვებაში და სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში.

საქართველოს სსრ საფინანსო ორგანოებმა მიმდინარე წელს განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი სახელმწიფო შემოსავლის გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, რის შედეგადაც შემოსავლის 9 თვის საერთო გეგმა გადაჭარბებით იქნა შესრულებული. მიუხედავად ამისა, ბრუნვის გადასახადის გადამხდელ ზოგიერთ მსხვილ ორგანიზაციას გეგმა არ შეუსრულებია.

„საქმაკალეას“ მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტში არ შეუტანია 3.512 ათასი მანეთი. „საქხორცკარაქოვეზეკრობა“ ვერ ასრულებს სავაჭრო ქსელის თვეზით მომარაგების გეგმას; ამ მიზეზით მან ბიუჯეტს მიმდინარე წლის 9 თვეში დააკლო 429 ათასი მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოების უმრავლესობა ბიუჯეტის წინაშე დამაკმაყოფილებლად ასრულებს ვალდებულებებს მოგების ანარიცხებში. სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა ბიუჯეტში გადასახდელების მიმდინარე წლის 9 თვის საერთო გეგმა 105,5 პროცენტით შეასრულეს. დამაკმაყოფილებლად შეასრულეს ბიუჯეტში გადასახდელების 9 თვის გეგმა პურის პროდუქტების მთავარმა სამმართველომ და ვაჭრობის სამინისტროს საწარმოებმა. მაგრამ არიან საწარმოები, რომლებიც მთელი რიგი წლების განმავლობაში არ ასრულებენ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე, მათი ხელმძღვანელები კი ადვილად ურიგდებიან ამ მდგომარეობას. მაგალითად, მშენებლობის სამინისტროს საწარმოებმა მიმდინარე წელს მხოლოდ 62 პროცენტით შეასრულეს მოგების ანარიცხების 9 თვის გეგმა და ბიუჯეტს 1.850 ათასი მანეთი დააკლეს.

სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებიდან ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებს არადამაკმაყოფილებლად ასრულებს კონსერვტრესტი, რომელმაც 1961 წელს ბიუჯეტს დააკლო 2.400 ათასი მანეთი; არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს მას მიმდინარე წელსაც.

სანახაობის გადასახადი 1963 წელს ბიუჯეტში უნდა შემოვიდეს 7.091 ათასი მანეთის ოდენობით. ამ გადასახადია 9 თვის გეგმა მიმდინარე წელს 96,5 პროცენტით არის შესრულებული.

კულტურის სამინისტრომ უნდა მიიღოს ზომები მოსახლეობის კონომმასხურების გასაუმჯობესებლად, ხოლო ადგილობრივმა საბჭოებმა უზრუნველყოს შენობების გამოყოფა კინოფილმების სანახვებლად ყველა დასახლებულ პუნქტში, რათა მიღწეულ იქნას ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის მიღება.

კოლმეურნეობის საშემოსავლო გადასახადი გათვალისწინებულია შემოვიდეს 20.403 ათასი მანეთი. ამ თანხის განსაზღვრისას მიღებულია მხედველობაში დაწესებული ეღლავათები მეცხოველეობიდან შემოსავლის 80 პროცენტის განთავისუფლების შესახებ, რაც მნიშვნელოვან სტიმულს იძლევა მეცხოველეობის შემდგომი განვითარებისათვის.

საჭიროა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გადასახადების ხვედრითი წონა ბიუჯეტში მცირეა — იგი მთელი შემოსავლის 6,4 პროცენტს შეადგენს.

1963 წელს გათვალისწინებულია სახელმწიფო დაზღვევის შემდგომი განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის ქონების დაზღვევის და მშრომელთა პირადი დაზღვევის განვითარებას.

მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის ზრდასთან დაკავშირებით 1963 წელს გათვალისწინებულია ანაბრების ნაშთის ზრდა საქართველოს შემნახველ სალაროებში 19 მილიონი მანეთით. ანაბრების თანხა 1963 წლის ბოლოს მიაღწევს 228 მილიონ მანეთს. სახელმწიფო უზრუნველყოფს ანაბრების საიდუმლოდ შენახვას, მათ სამოდენდ დაცვას და პირველი მოთხოვნისთანავე გაცემას.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა 1963 წლის დასაწყისიდანვე უნდა განახორციელონ ღონისძიებანი ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის შესასრულებლად იმისათვის, რომ უზრუნველყოთ სახალხო მეურნეობის გეგმით და ბიუჯეტით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შეფერხებელი დაფინანსება.

საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით ხარჯები გათვალისწინებულია 802.209 ათასი მანეთის ოდენობით, აქედან 754.976 ათასი მანეთი, ანუ 94.1 პროცენტი, მიმართული იქნება სახალხო მეურნეობის დარგებისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებლად.

სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაიცემა 332.004 ათასი მანეთი, მათ შორის:

მრეწველობასა და მშენებლობაზე	121.869	ათასი მან.
სოფლის მეურნეობაზე	78.448	„ „
კომუნალურ და საბინაო მეურნეობაზე	65.850	„ „
საგზაო მეურნეობაზე	22.474	„ „

გარდა ამისა, სახალხო მეურნეობის საჭიროებაზე თვით საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები დახარჯავენ საკუთარი სახსრებიდან მოგების, ამორტიზაციის ანარიცხებისა და სხვა რესურსების სახით 268.005 ათას მანეთს. ამგვარად, სახალხო მეურნეობაზე სულ დახარჯება 600.009 ათასი მანეთი, ანუ 27.532 ათასი მანეთით მეტი 1962 წელთან შედარებით. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სახალხო მეურნეობის დაფინანსებაში საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი წყაროების ხვედრითი წონა იზრდება. ეს გარემოება ხელს უწყობს საწარმოთა სამეურნეო დამოუკიდებლობისა და სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერებას.

მრეწველობის დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! მრეწველობის დაფინანსებაზე რესპუბლიკაში 1963 წელს ბიუჯეტიდან და საწარმოთა საკუთარი სახსრებიდან დაიხარჯება 267.512 ათასი მანეთი, მათ შორის საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით 259 მილიონ მანეთზე მეტი.

ცნობილია, რომ წარმოების შემდგომი გაფართოების მატერიალური და ფულადი რესურსებით უზრუნველყოფის წყაროს წარმოადგენს სოციალისტური მრეწველობის შიგასამეურნეო დაგროვება. სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოთა მოგება 1962 წელთან შედარებით იზრდება 22,0 პროცენტით და 164,4 მილიონ მანეთს მიაღწევს.

სოციალისტურ საწარმოთა დაგროვების ზრდის საქმეში გადამწყვეტ როლს ასრულებს შრომის ნაყოფიერების სწრაფი და განუხრელი ამაღლება. კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პროცესში ჩვენს ქვეყანაში ახალი შესაძლებლობანი იშლება შრომის ნაყოფიერების გადიდების, მატერიალური დანახარჯების შემცირებისა და სოციალისტური დაგროვების ზრდისათვის.

ზრდის უფრო მაღალი ტემპები ხელფასის ზრდის ტემპებთან შედარებით. მხოლოდ ამ საფუძველზეა შესაძლებელი სოციალისტური დაგროვების საჭირო ზრდა, საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლება.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე აღნიშნავდა: „ეფექტრობ ზედმეტია იმის მტკიცება, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდასა და ხელფასის ზრდას შორის სწორი თანაფარდობის დარღვევამ შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული დისპროპორციები სახალხო მეურნეობაში“.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობაში მთლიანად შრომის ნაყოფიერების ზრდა წინ უსწრებს საშუალო ხელფასის ზრდას. მაგრამ მრეწველობის ცალკეულ დარგებსა და საწარმოებში ეს პროპორციები უხეშად ირღვევა. მიმდინარე წლის 9 თვეში შრომის ნაყოფიერების ზრდა ჩამორჩებოდა ხელფასის ზრდას ახალციხეხახურის მაღაროთა სამმართველოს და მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის საწარმოებში, აგრეთვე ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის, საშენ მასალათა, ხორცისა და რძის მრეწველობის, აგრეთვე „საქკონსერტრესტის“ ზოგიერთ საწარმოში და სხვ. ამას შედეგად მოჰყვა ხელფასის ფონდის გადახარჯვა, რაც ყოველად დაუშვებელია. მიმდინარე წლის 9 თვეში საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა გადახარჯეს სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის ფონდი 420,0 ათასი მანეთის ოდენობით, მსუბუქი მრეწველობის — 90,0 ათასი მანეთი, საშენ მასალათა პრეწველობის საწარმოებმა — 39,0 ათასი მანეთი.

საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მისი დარგობრივი სამმართველოების ხელმძღვანელები დეტალურად გაერკვნენ ასეთი სრულიად არანორმალური მდგომარეობის მიზეზებში და განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი.

დაბრუნების გადიდება და ამ საფუძველზე ბიუჯეტის შემოსავლის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ხარჯების სისტემატიურ შემცირებაზე.

1963 წელს ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად მიიღებთ სახსრების მნიშვნელოვან ეკონომიას.

სამრეწველო საწარმოთა უმრავლესობა წარმატებით ასრულებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებებს, მაგრამ ამასთან საკმაო რაოდენობით არის ისეთი საწარმოებიც, სადაც სრულად ვერ იყენებენ შიგასამეურნეო რეზერვებს. არარაციონალურად ხარჯავენ სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ მატერიალურ, შრომითს და ფულად რესურსებს და არ ასრულებენ თვითღირებულების დავალებებს.

მიმდინარე წლის 9 თვეში თვითღირებულების დავალება ვერ შეასრულეს და გადახარჯვა დაუშვეს ქიათურის მარგანეცის ტრესტმ., ახალციხნახშირის მაღაროთასმმართველოს საწარმოებმა.

პროდუქციის თვითღირებულებაში გადახარჯვა დაუშვა აგრეთვე მატალურგიული და ქიმიური მრეწველობის საწარმოთა ნახევარზე მეტმა. ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო, სატყეო და ქაღალდის, საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა თითქმის მესამედმა.

საჭიროა ორმად შევისწავლოთ იმ საწარმოთა საქმიანობა, რომლებიც თვითღირებულების დავალებებს ვერ ასრულებენ, და მიეცეს წოთ მათი საქმიანობის გადაჭრით გაუმჯობესებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საქმეში გადამჭრელი მნიშვნელობა ენიჭება ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვას.

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობის ძირითადი ფონდები მნიშვნელოვნად გაიზარდა და განახლდა ახალი, მაღალი წარმადობის მქონე მოწყობილობის მიღებით. 1963 წელს დიდი სახსრებია გამოყოფილი იმისათვის, რომ მრეწველობის ძირითადი ფონდები განახლდეს ტექნიკურად სრულყოფილი მანქანებითა და მოწყობილობით, რაც უზრუნველყოფს წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებს. მაგრამ, როგორც ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა აღინიშნა, ზოგიერთი საწარმო ჯერ კიდევ უშვებს მოძველებულ მოწყობილობასა და მასალებს, რაც აფერხებს ძირითადი ფონდების განახლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა საჭიროდ ჩათვალა ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების უზრუნველყოფა, ტექნიკური პოლიტიკისადმი ხელმძღვანელობის ცენტრალიზაცია.

პროდუქციის თვითღირებულების შემცირება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ეკონომიურად იხარჯება მატერიალური რესურსები—ნედლეული, მასალები, სათბობი და ელექტროენერგია, რომლებიც როგორც ცნობილია, წარმოადგენს წარმოების ხარჯების ძირითად ნაწილს. საქ. სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიურად იყენებს მატერიალურ ფასეულობებს, მაგრამ ამ დარგში შესაძლებლობანი ჯერ კიდევ დიდია. მაგალითად, საფეიქრო მრეწველობის სამმართველოს ფაბრიკა „საქტრიკოტაჟმა“ 1961 წელს და მომდინარე წლის პირველ ნახევარში დაუშვეს ნართის გადახარჯვა დიდი ოდენობით.

საწარმოებში ნედლეულისა და მასალების ხარჯვაში არსებული ანომალიები დაკავშირებულია დანორმვის საქმის არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობასთან. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომდინარე წელს ჩატარებულმა შემოწმებებმა ცხადყო, რომ რესპუბლიკის საფეიქრო და ხორცის მრეწველობის და სხვა საწარმოებში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ნედლეულისა და მასალების ხარჯვის მოძველებული და გადადებული ნორმების გამოყენებას, რაც მთელ რიგ შემთხვევებში იწვევს ბოროტმოქმედებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა სათანადო ყურადღება დაუთმო პროდუქციის ხარისხის განუწყვეტელი გაუმჯობესების საკითხს.

უნდა აღინიშნოს, რომ ბევრმა საწარმომ გაუმჯობესა პროდუქციის ხარისხი. მაგრამ ცალკეული საწარმოების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ ეწევიან საჭირო ბრძოლას ამ მიმართულებით. რესპუბლიკის ბაზრებზე ადგილობრივ მრეწველობის ნაწარმოებ საქონელს ხშირად ეძლევა ბრალდება ხარისხის, ასორტიმენტის, ფერადოვნებისა და ფასის გამო. ეს ბრალდებანი ეხება ბევრ საწარმოს, ასეთ საწარმოთა ჩამონათვალში ერიცხებიან: ბორჯომის, ფოთის, ზესტაფონის, ონის, ბაღდათის, ოზურგეთის, ლენინგორის, ბოლნისის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბოლოქის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბოლოქის, ბაკურიანის, ბაზალეთის, ბოლოქ

საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

(დასასრული)

კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსება

რესპუბლიკაში წლითიწლობით იზრდება კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა, ფართოვდება მშენებლობის ახალი ინდუსტრიული მეთოდები, იზრდება სამშენებლო მუშაობის მექანიზაციის დონე.

პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ წლებში მთელი რიგი ღონისძიებები განახორციელეს კაპიტალური მშენებლობის დაგეგმვისა და ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად. მიუხედავად ამისა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დიდი ნაკლოვანებები აღნიშნა კაპიტალური მშენებლობის დარგში. ეს ნაკლოვანებები და დარღვევები ეხება ჩვენს რესპუბლიკასაც.

ჯერ კიდევ აქვს ადგილი კაპიტალურ დაბანდებაზე გამოყოფილი სახსრების დაქცევასა ბრავალ ისეთ ობიექტზე, რომლებსაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა არა აქვთ. სატიტული სიებში შეაქვთ ისეთი ობიექტები, რომლებიც უზრუნველყოფილ არ არიან საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, საშენი მასალით, მუშახელით, მოწყობილობით.

საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა მიმდინარე წლის 9 თვეში რესპუბლიკაში შესრულებულია 49,9 პროცენტით.

ამ გარემოებამ გამოიწვია დაუმთავრებელი მშენებლობის დიდი ზრდა, რომლის ნაშთი წლების მანძილზე გაზრდილია 97 მილიონ მანეთამდე.

ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში უძრავად იმყოფება მოწყობილობის მარაგის სახით მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები, აგრეთვე მოწყობილობის შემოზიდვაზე ხელშეკრულებები იდება უფრო მეტი თანხის ოდენობით, ვიდრე ამისათვის გამოყოფილია ასიგნებანი.

მაგალითად, საქართველოს სსრ კავშირგარეშეულობის სამინისტროს მიერ 1962 წლისათვის დაკვეთილი იყო მოწყობილობა, რომლის ღირებულება 60 ათასი მანეთით აღემატებოდა მისთვის გათვალისწინებულ დაფინანსებას.

1962 წლის 1 იანვრისათვის აღწერის მონაცემების მიხედვით დაუდგენელი და ზედმეტი მოწყობილობა რესპუბლიკაში ღირებულებოდა 42,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 13,2 მილიონი მანეთით აღემატებოდა 1961 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ოდენობას. ეს აიხსნება იმით, რომ დაწესებული არ არის სათანადო კონტროლი მოწყობილობის შემოზიდვაზე და არ ხორცელდება ქმედითი ღონისძიებანი არსებული მოწყობილობის გამოყენებისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის ფინანსური შედეგები მიმდინარე წელს კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მშენებლობის თვითღირებულების შემცირების 1962 წლის გეგმა 2,5 პროცენტის ნაცვლად 9 თვეში შესრულებულია 1,16 პროცენტით. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება გადიდებულია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,4 პროცენტით, ანუ 1,5 მილიონი მანეთით. სამშენებლო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების თითქმის ნახევარმა დაუშვა სამუშაოს გაძვირება გეგმის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციებში საკმაო სიმკაცრე არ არის ფულადი და მატერიალური სახსრების გამოყენების საქმეში.

მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთის, მშენებლობის დაჩქარების, მისი ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, ეჭვი არ არის, დიდ გარდატეხას შეიტანს ის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ.

საქართველოს სსრ 1963 წლის გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 226,2 მილიონი მანეთი და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან 114,9 მილიონი მანეთი.

სახალხო მეურნეობის გეგმით განსაზღვრულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით 2,4 პროცენტით, რაც ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების ზრდას 1963 წელს 1,2 პროცენტით.

საჭიროა სამშენებლო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმის შესრულება, მაქსიმალურად შეამოკლონ მშენებლობის ვადები და მიაღწიონ მისი ღირებულების შემცირებას. მშენებლობის ბანკის დაწესებულებებმა მკვეთრად უნდა გააძლიროს კონტროლი კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისადმი.

უთმობენ პროდუქციის თვითღირებულების საკითხებს, არ სწავლობენ დანახარჯების ცალკეული ელემენტების გადიდების მიზეზებს და არ ხორცელდება ქმედითი ღონისძიებანი არსებული მოწყობილობის გამოყენებისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის ფინანსური შედეგები მიმდინარე წელს კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მშენებლობის თვითღირებულების შემცირების 1962 წლის გეგმა 2,5 პროცენტის ნაცვლად 9 თვეში შესრულებულია 1,16 პროცენტით. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება გადიდებულია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,4 პროცენტით, ანუ 1,5 მილიონი მანეთით. სამშენებლო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების თითქმის ნახევარმა დაუშვა სამუშაოს გაძვირება გეგმის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციებში საკმაო სიმკაცრე არ არის ფულადი და მატერიალური სახსრების გამოყენების საქმეში.

საწარმოო დანიშნულების ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმა მიმდინარე წლის 9 თვეში რესპუბლიკაში შესრულებულია 49,9 პროცენტით.

ამ გარემოებამ გამოიწვია დაუმთავრებელი მშენებლობის დიდი ზრდა, რომლის ნაშთი წლების მანძილზე გაზრდილია 97 მილიონ მანეთამდე.

ყოველად დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სამშენებლო ორგანიზაციებში უძრავად იმყოფება მოწყობილობის მარაგის სახით მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები, აგრეთვე მოწყობილობის შემოზიდვაზე ხელშეკრულებები იდება უფრო მეტი თანხის ოდენობით, ვიდრე ამისათვის გამოყოფილია ასიგნებანი.

მაგალითად, საქართველოს სსრ კავშირგარეშეულობის სამინისტროს მიერ 1962 წლისათვის დაკვეთილი იყო მოწყობილობა, რომლის ღირებულება 60 ათასი მანეთით აღემატებოდა მისთვის გათვალისწინებულ დაფინანსებას.

1962 წლის 1 იანვრისათვის აღწერის მონაცემების მიხედვით დაუდგენელი და ზედმეტი მოწყობილობა რესპუბლიკაში ღირებულებოდა 42,2 მილიონი მანეთის ოდენობით, რაც 13,2 მილიონი მანეთით აღემატებოდა 1961 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ოდენობას. ეს აიხსნება იმით, რომ დაწესებული არ არის სათანადო კონტროლი მოწყობილობის შემოზიდვაზე და არ ხორცელდება ქმედითი ღონისძიებანი არსებული მოწყობილობის გამოყენებისათვის.

სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის ფინანსური შედეგები მიმდინარე წელს კვლავ არადამაკმაყოფილებელია. მშენებლობის თვითღირებულების შემცირების 1962 წლის გეგმა 2,5 პროცენტის ნაცვლად 9 თვეში შესრულებულია 1,16 პროცენტით. შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება გადიდებულია გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით 1,4 პროცენტით, ანუ 1,5 მილიონი მანეთით. სამშენებლო და სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების თითქმის ნახევარმა დაუშვა სამუშაოს გაძვირება გეგმის წინააღმდეგ. ამ ორგანიზაციებში საკმაო სიმკაცრე არ არის ფულადი და მატერიალური სახსრების გამოყენების საქმეში.

მშენებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღკვეთის, მშენებლობის დაჩქარების, მისი ღირებულების შემცირებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, ეჭვი არ არის, დიდ გარდატეხას შეიტანს ის ორგანიზაციული ცვლილებები, რომლებიც მიღებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ.

საქართველოს სსრ 1963 წლის გეგმით გათვალისწინებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად ბიუჯეტიდან გაღებული იქნება 226,2 მილიონი მანეთი და სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრებიდან 114,9 მილიონი მანეთი.

სახალხო მეურნეობის გეგმით განსაზღვრულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირება სახარჯთაღრიცხვო ღირებულებასთან შედარებით 2,4 პროცენტით, რაც ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების ზრდას 1963 წელს 1,2 პროცენტით.

საჭიროა სამშენებლო ორგანიზაციებმა უზრუნველყონ საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების გეგმის შესრულება, მაქსიმალურად შეამოკლონ მშენებლობის ვადები და მიაღწიონ მისი ღირებულების შემცირებას. მშენებლობის ბანკის დაწესებულებებმა მკვეთრად უნდა გააძლიროს კონტროლი კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებისადმი.

ვაჭრობის, საბინაო-კომუნალური და სხვა დარგების დაფინანსება

საცალო საქონელბრუნვის 1962 წლის ათი თვის გეგმა ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციების მიერ შესრულებულია 100,1 პროცენტით, მიღებულია დაგროვება გეგმის გადამეტებით და ამ საფუძველზე მოგებიდან ანარიცხების ბიუჯეტში შენატანების 1962 წლის 10 თვის გეგმა შესრულებულია 106,2 პროცენტით.

1963 წელს გათვალისწინებულია საჭირო სახსრები ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების შემდგომი გაფართოებისათვის. სახელმწიფო ვაჭრობის საკუთარი საბრუნავი სახსრები საქონელბრუნვის გაფართოებასთან დაკავშირებით იზრდება 6.375 ათასი მანეთით.

აღსანიშნავია, რომ ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებში, აგრეთვე ცეკავშირის სისტემაში ადგილი აქვს საქონლის ზენორმატიული ნაშთების ეროგვარ შემცირებას, მაგრამ ეს ნაშთები კვლავ დიდი რაოდენობით არიცხება.

ეხებიდით ფაქტებს, როდესაც სამრეწველო საწარმოები კვეცენ ან სრულიად წყნიან წარმოებიდან მოსახლეობისათვის საჭირო საქონელს სავაჭრო ორგანიზაციებთან შეუთანხმებლად, რაც მომავალში არ უნდა გამეორდეს.

მიუხედავად იმისა, რომ საქონლის ზენორმატიულ ნაშთებს ძირითადად შეადგენს მოძველებული ფასონისა და მოდელის, აგრეთვე ნაწილობრივ ხარისხდაკარგული საქონელი, როგორც სახელმწიფო ვაჭრობის, ისე სამომხმარებლო კოოპერაციის ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციები არ იღებენ საჭირო ზომებს ასეთი საქონლის ჩამოფასებისა და სათანადო ფონდების დანიშნულებისამებრ დროულად გამოყენებისათვის.

რუსთავის, ქუთაისის, ფოთის, ბათუმისა და სოხუმის სავაჭრო ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა უხეშ დარღვევებს ჩამოფასებული საქონლის გაყიდვის საქმეში და საქონლის ჩამოფასების ფონდების გამოყენებაში.

სავაჭრო ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელი სათანადოდ არ იბრძვის სოციალისტური საკუთრების დასაცავად, რის შედეგადაც ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირის სისტემებში მიმდინარე წლის განმავლობაში გამოვლინებული იყო გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

სახალხო მეურნეობის გეგმით 1963 წელს დასახულია საცალო საქონელბრუნვის ზრდა 6,1 პროცენტით, მათ შორის ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებში — 5,8 პროცენტით, ცეკავშირის სისტემაში — 7,3 პროცენტით.

ამ საფუძველზე ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციების მოგებიდან გათვალისწინებულია ანარიცხი რესპუბლიკის ბიუჯეტში 8.515 ათასი მანეთის ოდენობით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციის მოგებიდან დაგეგმილია სამეფოსავლო გადასახადი 6.780 ათასი მანეთი.

ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა უნდა უზრუნველყონ საქონელბრუნვის დადგენილი გეგმების უფუფოდ შესრულება, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მოსახლეობის მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის, სავაჭრო ორგანიზაციებსა და საწარმოების საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

ადგილობრივი დაქვემდებარების კომუნალური საწარმოები, სარემონტო-საშენებლო ორგანიზაციები. და საბინაო მეურნეობის დამხმარე საწარმოები ასრულებენ მოგების და ბიუჯეტში გადასახდელთა გეგმებს. მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი საწარმოები, რომლებიც გეგმების შეუსრულებლობის გამო საგრძნობ თანხებს აკლებენ ბიუჯეტს.

სეროზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი ქ. თბილისისა და ქ. ქუთაისის ელექტროტრანსპორტის მუშაობაში. დაბალია ტრამვაისა და ტროლეიბუსების პარკის გამოყენების კოეფიციენტი, დაშვებულია გადახარჯვა ხელფასის ფონდსა და მასალებში.

არადამაკმაყოფილებელია ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების მეთვალყურეობა სასტუმროთა მუშაობისადმი. ამ მეურნეობათა ხელმძღვანელები უშვებენ ზედმეტობას სახსრების ხარჯვაში: იძენენ ძვირფას ავეჯს, პიანინოებს, ტელევიზორებს, არაპირდაპირი დანიშნულებით იყენებენ სასტუმროს ნომრებს და სხვ.

საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, რომელიც დიდი ხანი არ არის, რაც შეიქმნა, მეტი დახმარება უნდა გაუწიოს ადგილობრივ ორგანოებს და წესრიგი დაამყაროს კომუნალური საწარმოების საქმიანობაში.

რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებებს, გახსაკუთრებით სოფლად. ამიტომ შექმნილია საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, რესპუბლიკის ქალაქებში კი — სამმართველოები. სოფლად ეს საქმიანობა მთლიანად სამომხმარებლო კოოპერაციას დაეკისრა.

ახლად შექმნილმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უმოკლეს ვადაში უნდა უზრუნველყონ მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების მკვეთრად გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელება.

1963 წელს საგრძნობლად იზრდება ასიგნებანი ბიუჯეტიდან რესპუბლიკის გზატკეცილების მშენებლობა-რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის, რაც ძირითადად გზების სიგრძის ზრდასთან და მათი შენახვის ხარისხის ამაღლებასთან არის დაკავშირებული.

საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს ავტოკანტორებმა 1961 წელთან შედარებით მუშაობა გააუმჯობესეს. მიმდინარე წელს სრულდება მათი მოგების საერთო გეგმა. მაგრამ იმავე დროს ზოგიერთი ავტომეურნეობა ვერ ასრულებს მოგებისა და ბიუჯეტში გადასახდელების გეგმას, უშვებს თვითღირებულების გადიდებას, სუსტად იბრძვის უბილეთო მგზავრობის წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანიზაციები ვერ ასრულებენ ვალდებულებებს ბიუჯეტის წინაშე. საჭიროა სამინისტრომ განახორციელოს ღონისძიებანი დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში დაგეგმვის საქმის გასაუჯრობესებლად და ბიუჯეტით გათვალისწინებული შემოსავლის გეგმების შესასრულებლად.

ამხანაგო დელეგატებო! პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ ჩვენი ხალხის კულტურული დონის ამაღლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის 1963 წლის ბიუჯეტის პროექტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული დაიხარჯოს 422.972 ათასი მანეთი, რაც ბიუჯეტის საერთო მოცულობის 52,7 პროცენტს შეადგენს. აქედან სახალხო განათლებაზე დაიხარჯება 226.483 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაცვაზე 91.396 ათასი მანეთი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაზე 1.708 ათასი მანეთი, შრომითი ანაზღაურებაში 103.385 ათასი მანეთი.

სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული საერთო ასიგნობიდან სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საავადმყოფოებისა და სხვ. ახალ მშენებლობაზე დაიხარჯება 26.530 ათასი მანეთი.

1963 წელს გათვალისწინებულია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რაოდენობის ზრდა; იზრდება კლასების რიცხვი და მოსწავლეთა კონტინგენტი. ამ სკოლების შენახვაზე დაიხარჯება 74.439 ათასი მანეთი. სკოლა-ინტერნატების რაოდენობა 1963 წელს აყვანილ იქნება 69-მდე. მომავალი წლის ბოლოსათვის ინტერნატებში აღსაზრდელთა რიცხვი 20.000-ს მიაღწევს ე. ი. შეემატება 2 ათასი ბავშვი. ამ საზნის სკოლების შენახვაზე 11.803 ათასი მანეთი დაიხარჯება.

რესპუბლიკის ბიუჯეტით 1963 წელს დაფინანსებული იქნება 18 უმაღლესი სასწავლებელი, 80 ტექნიკუმი, 44 პროფტექნიკური განათლების სასწავლებელი, რომელთა შენახვაზე 42.758 ათასი მანეთი დაიხარჯება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერების განვითარებას. 1963 წელს საქონეიერო დაწესებულებების შენახვასა და კვლევითს მუშაობაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 23.389 ათასი მანეთი.

ამასთანავე საჭიროა რაც შეიძლება მალე ლიკვიდირებულ იქნას ზოგიერთი ნაკლი, რომლებიც ჩვენს სამეცნიერო დაწესებულებებს ახასიათებს და ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის. ეს არის პარალელიზმი მუშაობაში, ნაკლოვანებანი თემების შერჩევაში და ამის გამო ზოგ შემთხვევაში სახელმწიფო სახსრების არაეფექტურად გამოყენება. საჭიროა საშეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა მუშაობა გარდიქმნას პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად.

რესპუბლიკის თეატრების, მუსიკალური დაწესებულებების, რადიომაუწყებლობის, ტელევიზიის, შემოქმედებითი კავშირების და ხელოვნების დარგის სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1963 წელს ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნება 5.398 ათასი მანეთი. საჭიროა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თეატრებისა და მუსიკალურ დაწესებულებათა ხელმძღვანელებთან ერთად სერიოზული ღონისძიებანი განახორციელოს ხელოვნების ამ დაწესებულებათა მუშაობის გასაუმჯობესებლად და მათი საფინანსო მეურნეობის განსამტკიცებლად.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვაზე 1963 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 91.396 ათასი მანეთი, რაც 5,2 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხას.

რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტების კაპიტალურ მშენებლობაზე ბიუჯეტიდან გაიცემა 4.023 ათასი მანეთი. სახსრები გამოყოფილია აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობისათვის.

ამხანაგო დელეგატებო! უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებები დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში დამინისტრაციულ-სამმართველო აპარატის სტრუქტურის შემდგომი გამარტივებისა და გაიაფებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტები

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების საერთო მოცულობა საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეადგენს 297.211 ათას მანეთს ანუ 37 პროცენტს.

1962 წელთან შედარებით 1963 წელს ადგილობრივი ბიუჯეტების მოცულობა გაზრდილია 15.967 ათასი მანეთით. მასში ადგილობრივი წყაროების შემოსავალი შეადგენს 58.670 ათას მანეთს. დანარჩენი 238.541 ათასი მანეთი იფარება რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გადაცემული სახელმწიფო გადასახადებისა და შემოსავლის ანარიცხებით და დოტაციით.

ამხანაგო დეპუტატებო! საჭიროდ მიმაჩნია შეეხო საკითხს ზოგიერთი დარღვევისა და ნაკლოვანების შესახებ, რომლებიც დაშვებულია ადგილობრივი ორგანოების მიერ ბიუჯეტების შესრულებისას.

მიუხედავად საკავშირო და რესპუბლიკური ხელმძღვანელი ორგანოების მთელი რიგი დადგენილებებისა სახიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის გაძლიერების შესახებ, ცალკეული რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო სახსრების უკანონოდ, არადანიშნულებისამებრ, უფაფრათოდ ხარჯვის ფაქტები, აგრეთვე გაფლანგვა-დატაცების შემთხვევებიც ასეთ ფაქტებს ადგილი ჰქონდა წალკის, მაიაკოვსკის, ახალციხის რაიონებში, ქ. თბილისში, ქუთაისში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

1961 და 1962 წლების განმავლობაში ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლინებულია უკანონო ხარჯები ბიუჯეტებიდან აყვანილი ერთეულების შენახვაზე წითელწყაროს რაიონულ საავადმყოფოში, ქ. თბილისის ლენინის რაიონის საგზაო კანტორაში, ცხინვალის და ჯვის რაიონების განათლების განყოფილებებში და სხვ. გამოვლინებულია ხელფასის მეტ-ნაკლები ოდენობით გაცემა მასწავლებლებზე და სამედიცინო პერსონალზე მათი ტარიფიკაციის არასწორად გატარების გამო თიანეთის, წალკის, ახალქალაქის, ყვარლის, ჩხოროწყუს და სხვა რაიონებში; გამოვლინებულია საბიუჯეტო სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენება და კაპიტალური რემონტისათვის კათვალისწინებული სახსრების მშენებლობაზე გადატანა ქ. გორში, ოჩამჩირის, ბათუმისა და ქედის რაიონებში. თელავის, გურჯაანის, თეთრიწყაროს, ბორჯომის, ქობულეთის, ზუგდიდის, სამგორის რაიონებში და ქალ. სოხუმში მნიშვნელოვანი თანხებია გაცემული პენსიების არასწორად დანიშვნის გამო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ პენსიის დანიშვნაზე წარმოდგენილი სბუ-თების სისწორე წინასწარ არ იყო სათანადოდ შემოწმებული.

აჭარის სსრ კულტურის სამინისტროს მიერ პიესების დაწერისათვის ჰონორარის სახით გაცემულია 3,5 ათასი მანეთი. მაშინ როცა აღნიშნული პიესები არ დადგმულა.

არის სახელმწიფოებრივი და ფინანსური დისციპლინის დარღვევის სხვა ფაქტებიც. ეს ფაქტები მოწმობენ ზოგიერთი თანამდებობრივი პირის არასახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას თავისი მოვალეობისადმი და კანონმდებლობის ბოთხოვნათა უგულებელყოფას.

საჭიროა მტკიცედ დავიცვათ კანონები, გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა სახელმწიფო სახსრების დაცვისა და მათი პირდაპირი დანიშნულებით გამოყენების საქმეში.

შეიძლება აღინიშნოს, რომ საფინანსო კონტროლის დონე უკანასკნელ დროს შედარებით ამაღლებულია. სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის ანალიზი სამეურნეო ორგანიზაციებში უფრო ღრმად კეთდება; მეტი ყურადღება ექცევა შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების და დაგროვების გადიდების საკითხებს.

მაგრამ საკონტროლო მუშაობაში მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს მანც აქვს ადგილი; ჯერ კიდევ სუსტად ხორციელდება შიგასაუწყებო კონტროლი. სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის დარღვევის ერთ-ერთ მიზეზს ის გარემოებაც წარმოადგენს, რომ მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში არ არის მოგვარებული აღრიცხვა და ანგარიშგება.

არ სრულდება მთავრობის მითითება იმის შესახებ, რომ წელიწადში ერთხელ მაინც ჩატარდეს ყველა დაქვემდებარებული საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციის, დაწესებულების, მშენებლობის და საბჭოთა მეურნეობის დოკუმენტური რევიზია.

მთელ რიგ შემთხვევებში რევიზიები ტარდება უხარისხოდ, ფორმალურად და ყოველთვის როდი ხდება სახელმწიფო დისციპლინის სერიოზული დარღვევების გამოვლინება. რასაც ადგილი აქვს საწარმოების, ორგანიზაციების საქმიანობაში. მეტისმეტად ჭიანურდება რევიზიების შედეგების განხილვა და მათ გამო საჭირო ზომების განხორციელება; ამასთანავე ხშირად იღებენ ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც არ არის ამომწურავი, სერიოზულ დარღვევათა კონკრეტულ დამნაშავეებს არ აძლევენ სასტიკ პასუხისგებაში, რაც ამცირებს ჩატარებული რევიზიების ქმედითობას და ეფექტიანობას, ხელს არ უწყობს გამოვლინებულ დარღვევათა აღმოფხვრას.

ამასთან საჭიროა გაფრთხილებული იქნენ საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები, რომ მათ ეკისრებათ პასუხისმგებლობა შიგასაუწყებო საფინანსო კონტროლის მუშაობის მდგომარეობისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის შექმნა, რომელიც სკკპ ცკ-ის ნოემბრის პლენუმის დადგენილების საფუძველზე განხორციელდა, წარმოადგენს ლენინური პრინციპების აღდგენას კონტროლის ორგანიზაციის საკითხში, ეს იქნება ნამდვილად სახალხო კონტროლი, რომელიც ხელს შეუწყობს ხელმძღვანელ ორგანოთა დირექტივების შესრულების შემოწმებას, სახელმწიფო დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების დაცვას, ამასთან იგი დიდ როლს შეასრულებს სოციალისტური მეურნეობის რეზერვების გამოვლინებისა და მობილიზაციის საქმეში.

• • •

ამხანაგო დელეგატებო! 1963 წლის ბიუჯეტის პროექტთან ერთად მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილია დასაბუთებულად საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 775.672 ათასი მანეთის, ხოლო ხარჯებში 766.665 ათასი მანეთის ოდენობით. შემოსავალმა გადააჭარბა ხარჯებს 9.007 ათასი მანეთით.

ამხანაგო დელეგატებო!

საბჭოთა ხალხი იწონებს ახლახან დაშთავრებულ სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მიერ სესიის გადაწყვეტილებებს, იწონებს საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას, რომლის მიზანია ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპების საფუძველზე.

ჩვენს რესპუბლიკაში, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, გაშლილია დიდი შემოქმედებითი მუშაობა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის. ამ გადაწყვეტილებათა განუხრელად განხორციელებას, დადგებვლის საქმისა და წარმოების ხელმძღვანელობის დონის ამაღლებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების შემდგომი სწრაფი აღმავლობისათვის.

1963 წლის სახალხო მეურნეობის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ხელს შეუწყობს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომ ამაღლებას. (ტაში).

საგარეო ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე

ორმოცდაერთი წლის წინათ, 1917 წლის 20 დეკემბერს, ვ. ი. ლენინის ინიციატივით შეიქმნა კონტრრევოლუციისა და საბოტაჟის წინააღმდეგ ბრძოლის სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია — მოგვითითებდა ვ. ი. ლენინი, ჩვენი მრისხანე ბარიერი იყო საბჭოთა ხელისუფლების უამრავი მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია იყო პირველი ორგანო, რომელიც შეიქმნა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების დასაცავად.

უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის ძმიმე პირობებში მან წარმატებით გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანებს. სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ძალა და წარმატებანი განპირობებული იყო იმით, რომ იგი მუშაობდა კომუნისტური პარტიის უშუალო ხელმძღვანელობითა და კონტროლით, ფართოდ ეყრდნობოდა მშრომელთა მასების ნდობასა და მხარდაჭერას.

სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის მემკვიდრემ — სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ, რომელიც 1922 წლის თებერვალში შეიქმნა, ხოლო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნისას რეორგანიზებულ იქნა გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოდ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან, სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიის ეს სახელოვანი პარტიული ტრადიციები გადაეცა.

კომუნისტური პარტია ზრდიდა ჩეკისტებს კომუნიზმის საქმისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით. მან ჩეკისტებს თავისი შეიარაღებული რაზმი

ა. ინაური,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე, გენერალ-ლეიტენანტი.

უწოდა. პარტია, ვ. ი. ლენინი ასწავლიდნენ ჩეკისტებს მუდამ განემტკიცებინათ კავშირი მასებთან. დაყრდნობოდნენ მშრომელებს, მტრის წინააღმდეგ დარტყმები შეეხამებინათ მასებში ახსნა-განმარტებითს, პოლიტიკურ მუშაობასთან. პარტია მოითხოვდა, რომ ჩეკისტები ყოველთვის მდგარიყვნენ სოციალისტური კანონიერების სადარაჯოზე, ულმობელი ყოფილიყვნენ მტრების მიმართ და ამავე დროს ფრთხილად მოპკიდებოდნენ პატიოსანი საბჭოთა მოქალაქეების უფლებებს.

პიროვნების კულტს და პარტიული ცხოვრების ნორმების დარღვევებს, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას და სხვა უკანონობას, რაც მას თან ახლდა, დიდი ზიანი მოჰყვა პარტიული, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში. პიროვნების კულტის შედეგებმა ძმიმე გავლენა მოახდინა სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მუშაობაზეც. შლიქენელოდნენ რა სტალინის წინაშე, რომელმაც უშიშროების ორგანოები თავის პირად კონტროლს დაუქვემდებარა, პარტიისა და ხალხის მტრები ეფოვი, ბერია, აბაკუმოვი, რომლებიც სახელმწიფო უშიშროების ორგანოების ხელმძღვანელობაში „გაძვრნენ, სჩადიოდნენ თვითნებობასა და უკანონობას. ფალსიფიცირებულ ბრალდებათა საფუძველზე სპობდნენ პატიოსან, პარტიის ერთგულ პარტიულ, საბჭოთა

საბჭოთა ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე

ა. ინაური,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კ